603/2 6019

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა,
2 სექტემბერი,
1956 წელი.
№ 72 (982).
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-18 წელი

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

მოსწავლეთა ზეიმი „დინამოს“ სტადიონზე

1 სექტემბერი საზეიმო დღეა მოსწავლეთა ცხოვრებაში. დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ჩვენში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ახალ სასწავლო წელს ზეიმით შევეგებოთ, ახალი სიხარული განვიცადოთ მისი დადგომით, ერთმანეთს შევფიცოთ: გვიყვარდეს სწავლა, გვიყვარდეს შრომა...

თბილისის „დინამოს“ სტადიონი საზეიმოდ გამოიყურება. მისკენ მიიჩქარიან არა მარტო მოსწავლეები, არამედ პედაგოგებიც და მშობლებიც. დღეს აქ იმართება საზეიმო საღამო, მიძღვნილი ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი.

ზეიმის მონაწილეებით აივსო სტადიონის ტრიბუნები. საზეიმო საღამოს პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჭვაჭაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. კუჭავა, პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი გ. გეგეშიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე და სხვ.

მოსწავლეთა საზეიმო საღამოს გახსნილად აცხადებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე.

სიტყვა ეძლევა პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანს გ. გეგეშიძეს. იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პარტიის თბილისის კომიტეტის და საქალაქო საბჭოს აღმასკომის დავალებით ულოცავს მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და უსურვებს ახალ წარმატებებს სწავლასა და შრომაში.

— საბჭოთა სკოლის წინაშე, — ამბობს ამხ. გ. გეგეშიძე, — ახალი, დიდი ამოცანები დგას. პარტიის XX ყრილობამ მოითხოვა ავამაღლოთ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, განვამტკიცოთ სკოლის კავშირი წარმოებასთან, ცხოვრებასთან, აღვზარდოთ მოზარდი თაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ამ ამოცანების შესასრულებლად უნდა დაირაზმოს მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი. სკოლა ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე მიესალმება მოსწავლეებს რესპუბლიკის განათლების მუშაკთა 50-ათასიანი კოლექტივის სახელით. იგი ლაპარაკობს საბჭოთა სკოლის დიდ აღმავლობაზე და ამასთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე, პრაქტიკისაგან სწავლების მოწყვეტაზე, პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით სიტყვას ამბობს პროფესორი ვ. თოფურია. იგი მოუწოდებს ახალგაზრდობას დაეუფლოს მშობლიურ ენას, ღრმად შეისწავლოს რუსული ენა, აგრეთვე უცხო ენები.

პოეტი იოსებ ნონეშვილი მოსწავლეებს გადასცემს ქართველი მწერლების მხურვალე სალამს. მან თქვა:

— დაე ხუთიანების ნამგლით მკიდეთ ცოდნის მოსავალს; მაგ პატარა ხელებით თქვენც აშენეთ კომუნიზმი... ისწავლეთ ცხოვრების დიდი წიგნიდანაც, შეიძინეთ არა მარტო ცოდნა, არამედ შრომისადმი სიყვარულიც.

ი. ნონეშვილი თავის სიტყვას ამთავრებს ლექსით.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროს უფროსმა ნ. მიქაშავიძემ, 66-ე სკოლის მოსწავლემ ი. ბიდლინსკაიამ, 103-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ლ. სარაჯევმა, მე-18 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ მ. საყვარელიძემ და სხვ.

იწყება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილე ფიზკულტურელთა საჩვენებელი გამოსვლები. ფიზკულტურელები ასრულებენ სხვადასხვა სპორტულ ვარჯიშს. მოწონებას იმსახურებს კოდისთავის პიონერთა ბანაკის ნორჩი ფიზკულტურელების გამოსვლა.

საღამოს დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ახალი წარმატებისათვის სწავლასა და სპორტში

გუშინ, 1 სექტემბერს ჩვენი რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების ქუჩები დილიდანვე აახმიანეს სახეგაბრწყინებულმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. ისინი ჟივილ-ხივილით მიეშურებოდნენ საყვარელი სკოლებისაკენ, რათა ახალი ენერგიით შედგომოდნენ სწავლას, შეხვედროდნენ თავიანთ ამაგდარ მასწავლებლებს, თანაკლასელებს, მეგობრებს, მოეთხროთ მათთვის ზაფხულის განმავლობაში გატარებული დღეების შესახებ.

წარმტაცია საბჭოთა ახალგაზრდების ცხოვრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ მათთვის შექმნეს ნაყოფიერი სწავლის, გონივრული დასვენების შესანიშნავი პირობები. არდადეგების პერიოდში ათასობით მოსწავლე ისვენებდა პიონერთა ბანაკებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და ენერგია აღდგენილი დაუბრუნდნენ სასწავლებლებს.

ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველსავე დღიდანვე მუშაობა გაანახლეს სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, სპორტული მოედნები, კორტები, სტადიონები, დარბაზები კვლავ აივსო ჯანღონით სავსე ახალგაზრდებით, დაიწყო ბრძოლა მაღალი სპორტული მაჩვენებლების, რეკორდების მოსაპოვებლად.

სკოლებში ეყრება საფუძველი ბავშვთა სპორტულ დაოსტატებას. კომუნიზმის მომავალი მშენებლები აქ იძენენ ძვირფას ჩვევებს — ამტანობას, გამბედაობას, სისხარტეს, კოლექტივისადმი სიყვარულს. ახლახან დამთავრებულ სსრ კავშირის ხალხთა და მოსწავლეთა მესამე საკავშირო სპარტაკიადებში მაღალი სპორტული მაჩვენებლების მოპოვებით თავი ისახელეს მოსწავლეებმა. ყველა მოლოდინს გადააჭარბა ნიკოტინმა. მან ჩამოიტოვა ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული სპორტსმენები — ჩემპიონები, რეკორდსმენები და მოიპოვა სპარტაკიადის და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი. ხალხთა სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის წარმატებით გამოსვლას ხელი შეუწყვეს აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. საქართველოს სპორტის მოყვარულთა იმედები გაამართლეს აგრეთვე ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მეხუთე ადგილი დაიკავეს, ხოლო ტანმოვარჯიშეთა გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი. მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე გაიმარჯვეს აგრეთვე საქართველოს ჩოგბურთელებმა, მოჭიდავეებმა, მოფარიკავეებმა...

ახალი სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ბევრ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში თავიდანვე იზრუნეს სპორტული მოედნების, დარბაზების მოწყობისათვის, სპორტული ინვენტარის შეძენისათვის. რა სიხარული იყო პირველ სექტემბერს ორჯონიკიძის რაიონის 52-ე საშუალო სკოლაში, როცა მოსწავლეებმა პირველად შეაღეს ახალი სპორტული დარბაზისა და მოედნების კარები. აქ სწავლის დაწყების პირველ დღიდანვე გაჩაღდა სისხლსავსე ფიზკულტურული საქმიანობა. ახალი სპორტული ბაზები მიიღეს ლენინისა და სხვა რაიონების მოსწავლეებმა. სპორტული ბაზები შეკეთდა და ახლად მოეწყო სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს სპორტულ ბაზების კეთილმოწყობა, ახლის მშენებლობა. თბილისის 104-ე საშუალო სკოლაში არსებული სპორტული დარბაზი ისეთ მდგომარეობაშია, რომ იქ რაიმე სპორტული მეცადინეობის ჩატარება შეუძლებელია. ხოლო 102-ე საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში მანქანათმცოდნეობის კაბინეტი მოაწყეს და სპორტის მოყვარულები ბედის ანაბარა დატოვეს.

ხალხთა სპარტაკიადის დამთავრებასთან დაკავშირებით გაზეთმა „პრავდამ“ აღნიშნა, რომ „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკური აღზრდის მდგომარეობას სკოლაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მუშაობა სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

ჩვენმა მწვრთნელებმა და ფიზიკური კულტურის მასწავლებლებმა, საბჭოთა სკოლის ყველა მუშაკმა უნდა ჩაუნერგონ ახალგაზრდა თაობას სიყვარული სპორტისადმი მცირეწლოვანი ასაკიდანვე, უკვე სასკოლო მერხიდან ფიზკულტურა და სპორტი უნდა იქცეს ჯანმრთელობის განმტკიცების, სიმამაცისა და ნებისყოფის გამომუშავების ყველაზე მძლავრ და მოქმედ საშუალებად კომუნისტური საზოგადოების მომავალ მშენებლებში და უცვლელად თან ახლდეთ მათ ყველგან: სწავლაში, შრომაში, დასვენებაში. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოავლინონ სკოლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს ეს მითითებანი რესპუბლიკის სახალხო ორგანოების, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამაა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ნაყოფიერ სწავლასთან ერთად ახალგაზრდა სპორტშიც ოსტატდებოდეს, მაშინ მოსწავლე ახალგაზრდობაში ახალი ძალით განვითარდება ფიზკულტურა და სპორტი, სსრ კავშირის ხალხთა და მოსწავლეთა სპარტაკიადებზე მოპოვებულ საპატიო შედეგებს უფრო გავზრდით და განვამტკიცებთ.

◆

ფიდეს კონგრესი

მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ორ დღეს მიმდინარეობდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის XXVII კონგრესი. კონგრესმა წევრებად მიიღო ინდოეთისა და ფილიპინების საჭადრაკო ორგანიზაციები, აგრეთვე გადაწყვიტა რეკომენდაცია მისცეს ლიბანისა და ინდონეზიის საჭადრაკო ფედერაციებს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

შემდეგ კონგრესმა განიხილა და დაამტკიცა საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრებათა კალენდარი.

1957 წელს ვენაში განზრახულია ევროპის გუნდური პირველობის ჩატარება. ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და დასავლეთ გერმანიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები. ამ პირველობის წინ გაიმართება ფიდეს XXVIII კონგრესი.

1957 წელს მსოფლიო პირველობა სტუდენტთა შორის მოეწყობა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის — კანადაში.

მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა მომავალი შესარჩევი ტურნირების სისტემაში შეტანილია შემდეგი დაზუსტებანი: 1957 წელს გაიმართება 9 შესარჩევი ზონალური ტურნირი. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებული 21 მოჭადრაკე ერთმანეთს საზონათაშორისო ტურნირში შეხვდება. ეს ტურნირი 1958 წელს იუგოსლავიაში გაიმართება. პრეტენდენტთა ტურნირი, რომელმაც უნდა გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონის მატჩის კანდიდატი, მოეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1959 წელს.

კონგრესმა დაამტკიცა მ. ბოტვინიკ - ვ. სმისლოვის მატჩის დაწყების ვადა. ეს შეჯიბრება დაიწყება 1957 წლის 5 მარტს მოსკოვში.

ბლედის ტბაზე

იუგოსლავიაში ბლედის ტბაზე, რომელიც ქალაქ ლუბლიანის მახლობლად მდებარეობს, მოეწყო ევროპის პირველობა ნიჩბოსნობაში ქალთა შორის. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა გუნდების სარეკორდო რიცხვი — 36.

განსაკუთრებული დაძაბულობით მიმდინარეობდა ფინალური შეჯიბრებები. აქ მოულოდნელი გამოდგა ცნობილი საბჭოთა სპორტსმენის, მრავალ საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულ რ. ჩუმაკოვას დამარცხება. ერთადგილიან სკიფით შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონის სახელი მოიპოვა გერმანელმა სპორტსმენმა ი. შოლცმა, მეორეზე იყო ავსტრიელი ე. სიკი.

ორადგილიან წყვილმოსასმელიან ნავებში გაიმარჯვეს ჩეხმა სპორტსმენებმა ბარტაკოვამ და მუზილოვამ. საბჭოთა გუნდის წარმომადგენლები მ. ოპალენკო და ე. ზემლიანსკაია მხოლოდ სამი წამით ჩამორჩნენ გამარჯვებულებს.

ოთხადგილიან წყვილმოსასმელიან ნავებში საბჭოთა კავშირის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა უნგრეთის სპორტსმენები. რვაადგილიანთა შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ სპორტსმენებმა.

ევროპის ჩემპიონი გახდა საბჭოთა გუნდი. მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანია, მესამეზე — უნგრეთი.

მსოფლიო პირველობა

პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქში დაიწყო მსოფლიო პირველობის გათამაშება ფრენბურთში როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის.

ქალთა იმ ქვეჯგუფში, სადაც საბჭოთა კავშირის გუნდი თამაშობს, მოხვედრილი არიან აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელისა და ლიუქსემბურგის გუნდები.

საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა დაამარცხეს ლიუქსემბურგისა და აშშ-ს გუნდები. ორივე შემთხვევაში ანგარიში იყო 3:0.

ვაჟთა ქვეჯგუფში საბჭოთა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს თურქეთის გუნდი (15:0, 15:5, 15:4).

დ ღ ე ს! დ ღ ე ს! დ ღ ე ს!

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 5 ს. შედგება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილე საქართველოს სპორტული დელეგაციის

შ ე ხ ვ ე დ რ ა
თბილისის მშრომელებთან

პროგრამაში: საზეიმო ნაწილი და გამარჯვებულთა დაჯილდოება, სპორტული გამოსვლები კრივში, ტანვარჯიშში, ჭიდაობაში, ფეხბურთში.

◆

ქართველი ახალგაზრდები ჩემპიონები

გასული თვე — აგვისტო უაღრესად დაძაბული იყო ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დაწყებული უდიდესი ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა გააგრძელეს მოსწავლე სპორტსმენებმა, რომლებმაც ცხადყვეს, რომ საბჭოთა სპორტს მტკიცე დასაყრდენი აქვს და საიმედო მომავალი ჰყავს, რომ მოსწავლე სპორტსმენი ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც გუშინ სპორტულ სარბიელზე იბრძოდნენ და დღეს თავის სასწავლო მერხს დაუბრუნდნენ, ხვალ ახალ წარმატებებს მიაღწევენ სწავლაში, შრომაში, ახალ რეკორდებს დაამყარებენ საბჭოთა სპორტის სასახელოდ.

საქართველოს მოზარდმა სპორტსმენებმა განვლილ საკავშირო სპარტაკიადაზე მთელი რიგი შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ბ. ნიკიტინმა კვლავ აჩვენა თავისი მაღალი ოსტატობა. პირველი ადგილი დაიკავა ჰოკით ხტომაში ვ. ვენცკევიჩმა. ჩინებულად დაამთავრეს შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებმა. ისეთ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში, როგორიც არიან მოსკოველები, ლენინგრადელები, უკრაინელები, მათ დაიკავეს საერთო პირველი ადგილი და მოიპოვეს თასი. ზუსტად, ოსტატურად მუშაობდნენ იარაღებზე ნ. მაკალათია, გ. გრომოვი, რ. მკრტჩიანი, ზ. ჩოგოვაძე, ვ. კოვალიოვი, ჯ. გელაშვილი და სხვანი. ნ. მაკალათია გამოვიდა საერთო მეორე ადგილზე, ხოლო გ. გრომოვი — მესამეზე. ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში ჩემპიონობა მოიპოვა რ. მკრტჩიანმა ტაიჭზე და ბჯენით ხტომებში. მზრუნველად და გულისხმიერად ამზადებდნენ გუნდს შეჯიბრებისათვის მწვრთნელები გ. მამარდაშვილი, ქ. გრომოვი, ი. თავდიდიშვილი, ნ. ბახუტაშვილი, ე. ქოვლიევა.

გარდა სპარტაკიადისა, მოზარდ სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებები ჩატარდა სპორტის სხვადასხვა სახეობაშიც. როსტოვში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ჩოგბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის „დინამო“ და „ბურევესტნიკი“, კიევის „დინამო“, ლენინგრადის პიონერთა სახლის გუნდი, თბილისის „დინამო“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, რიგის „დაუგავა“, ტალინის „კალევი“ და სხვანი.

ეს შეჯიბრება საქართველოს სპორტსმენთა შესანიშნავი გამარჯვებით დამთავრდა. სამი პირველი ადგილი მოიპოვა ი. რიაზანოვამ. მან გაიმარჯვა ინდივიდუალურ პირველობაში, აგრეთვე წყვილთა თამაშში კიეველ ტარანოვასთან ერთად და შერეულ წყვილში ვ. ლუკაშვილთან ერთად. ჭაბუკთა წყვილებში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ვ. ლუკაშვილი და ლ. მძინარიშვილი, ხოლო უმცროსი ასაკის ჩოგბურთელთა შორის შერეულ წყვილში პირველი ადგილი დაიკავეს რ. აბჟანდაძემ და გ. მუსელიანმა.

ამ შეჯიბრებაში დაწესებული იყო 4 სპეციალური პრიზი აგრესიული და ლამაზი თამაშისათვის. აქედან 2 პრიზი მოიპოვეს თბილისელებმა ი. რიაზანოვამ და გ. მუსელიანმა. ჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა თბილისის გუნდში იყვნენ მ. კაზაზიშვილი, თ. ბელაია, ტ. მელჩანინოვა, მ. ბაბალოვა, მ. კერესელიძე, ვ. გოგლიძე, ე. ივანოვი. ეს ნიჭიერი ჩოგბურთელები აღზარდეს ა. ხანგულიანმა, ე. ვერმიშევამ, ვ. სერებრიანიკოვმა, მ. კლდიაშვილმა.

კიროვში მიმდინარეობდა ჭაბუკთა საკავშირო საუწყებათაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში საერთო პირველობა მოიპოვეს სპარტაკელებმა, მეორე ადგილზეა „დინამო“. პირად ჩათვლაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა სპორტსმენებმა ჯ. შენგელიამ („შახტიორი“, საშუალო წონა), ფ. გველესიანმა („სპარტაკი“, ქვემძიმე წონა) და გ. ქითიამ („სპარტაკი“, მძიმე წონა), რომლებმაც მოიპოვეს 1956 წლის საკავშირო ჩემპიონის წოდება.

ანალოგიური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში მოეწყო კიშინიოვში, სადაც რესპუბლიკურ სტადიონზე, ღია ცისქვეშ 4 დღეს ებრძოდნენ ერთმანეთს ჭაბუკი მოჭიდავეები. ჩინებული მომზადება გამოამჟღავნა მძიმე წონაში სპარტაკელმა ნ. გოგიბედაშვილმა, რომელიც საუკეთესო იყო ამ შეჯიბრებაში.

მეორე ადგილები დაიკავეს თავის წონითს კატეგორიებში ო. ეგაძემ („პიშჩევიკი“), ლ. ძაგანიამ („შრომითი რეზერვები“), ქ. გილაურმა („ბურევესტნიკი“). მესამე ადგილებზე გამოვიდნენ გ. რუბაშვილი, ა. დათეშიძე, გ. ღლუნაძე, ი. კუჭუხიძე. მოჭიდავეებს თან ახლდნენ მწვრთნელები ვ. ილურიძე და მ. ოგანეზოვი.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საუკეთესო ნორჩი მოფარიკავეები იბრძოდნენ პირველობისათვის კუიბიშევში. საქართველოს წარმომადგენლებმა დაიკავეს პირველი ადგილები იარაღის სხვადასხვა სახეობებში და საერთო გუნდურ ჩათვლაში გამოვიდნენ პირველ ადგილზე.

პირად ჩათვლაში ჩემპიონობა მოიპოვა რაპირაში ბათუმელმა მოსწავლე გოგონამ ლ. მეტრეველმა (მწვრთნელი გ. მუშლიანი). მან დაუმარცხებლად განვლო მთელი შეჯიბრება. უფროსი ასაკის ვაჟთა შორის რაპირაში საუკეთესო იყო თ. ცქიტიშვილი (მწვრთნელი ტ. მესხი), ხოლო ესპადრონში ყველას ძლია ქუთაისელმა ჯ. მოსიძემ.

მოასპარეზენი საბრძოლო სპორტული სარბიელიდან მერხს დაუბრუნდნენ, მაგრამ ენერგიული მზადება მომავალი შეჯიბრებისათვის არ წყდება. სწავლისა და სპორტის, შრომისა და დასვენების გონივრული შერწყმა აკეთილშობილებს ადამიანს, ზრდის კომუნიზმის მშენებელ ჰარმონიულად განვითარებულ სამშობლოს პატრიოტებს.

დ. კაცაძე

• • •

სურათზე: გამარჯვებული ჩოგბურთელები და მწვრთნელები. წრეებში — პირად პირველობაზე გამარჯვებულები. მარცხნიდან — აბჟანდაძე, ლუკაშვილი, რიაზანოვა, მძინარიშვილი და მუსელიანი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 2 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	18	12	3	3	57:24	27
„დინამო“ მ.	20	10	7	3	43:23	27
ცდსა	18	8	5	5	33:27	21
„ბურ“	18	8	4	6	32:39	20
„დინამო“ კ.	16	6	7	3	22:17	19
„ტორპედო“	18	6	6	6	33:30	18
„დინამო“ თბ.	18	6	4	8	33:32	16
„შახტიორი“	18	4	7	7	25:37	15
„ლოკომოტივი“	18	3	8	7	21:22	14
„ზენიტი“	17	2	10	5	16:32	14
ოფ. სახ. სვ.	15	4	3	8	21:32	11
„შრ. რეზერვ.“	18	2	6	10	19:40	10

• • •

ლენინგრადი. 30 აგვისტო. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მატჩი ადგილობრივ „შრომითს რეზერვებსა“ და ცდსა-ს შორის.

გაიმარჯვა ცდსა-მ — 3:1.

მოსკოვი. 31 აგვისტო. აქ გაიმართა შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის.

ანგარიშით 4:0 მატჩი მოიგო „დინამომ“.

კიშინიოვი. 31 აგვისტო. კიშინიოვის „ბურევესტნიკმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „ტორპედო“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ალმა-ატა. 30 აგვისტო. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ალმა-ატაში შედგა მორიგი კალენდარული მატჩი „ბ“ კლასის მეორე ზონაში. თამაშობდნენ ადგილობრივი „უროჟაისა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები.

თამაში მეტად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ჭაბუკთა შეჯიბრება

მოსკოვი. (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა მატჩები ფინალურ ჯგუფში ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

გათამაშება ძლიერად ჩაატარა უკრაინის ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, მესამეზე — რუსეთის ფედერაციის ფეხბურთელები.

წარმატებით გამოვიდნენ შეჯიბრებაზე აზერბაიჯანელი (მეოთხე ადგილი) და თურქმენი (მეექვსე ადგილი) ფეხბურთელები. სუსტად ჩაატარა ტურნირი საქართველოს გუნდმა, რომელმაც დაიკავა მეხუთე ადგილი.

გამარჯვების პიკი აღებულია

გამარჯვების პიკი. (ყირგიზეთის სსრ), 31 აგვისტო. (საქდესი). საზოგადოება „სპარტაკისა“ და ყაზახეთის ალპინისტთა კლუბის ექსპედიციის მოიერიშეთა ჯგუფმა ცამეტი დღის იერიშის შემდეგ გუშინ აიღო გამარჯვების პიკი. საბჭოთა ალპინისტები ავიდნენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ დაუპყრობელ და მსოფლიოში ყველაზე ჩრდილოეთ შვიდიათას-მეტრიან მწვერვალზე.

მრავალი წლის განმავლობაში ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალად ითვლებოდა ზღვის დონიდან 6.995 მეტრი სიმაღლის ხან-თენგრის პიკი. 1943 წელს კოკ-შაალ-ტაუს ქედზე ტოპოგრაფებმა აღმოაჩინეს ზღვის დონიდან 7.439,3 მეტრი სიმაღლის მწვერვალი. მწვერვალმა მიიღო გამარჯვების პიკის სახელწოდება. 1949, 1952, 1953 და 1955 წლებში საბჭოთა ალპინისტებმა ცადეს ამ მწვერვალზე ასვლა და მისი გამოკვლევა. მაგრამ ალპინისტთა ღონისძიებებს წარმატება არ მოჰყოლია. გამარჯვების პიკი დაუპყრობელი იყო.

გაერთიანებულ ექსპედიციას ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი აბალაკოვი. სპორტის დამსახურებულ ოსტატებთან და სპორტის ოსტატებთან ერთად ექსპედიციის შემადგენლობაში არიან ახალგაზრდა ალპინისტები.

ჯგუფმა დაიწყო ჩამოსვლა.

ლონდონში საბჭოთა მძლეოსნების დელეგაციის ხელმძღვანელის განცხადება

ლონდონი, 31 აგვისტო. (საქდესი). საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა კ. ვ. კრუპინმა დღეს საბჭოთა გუნდის სახელით ბრიტანეთის მძლეოსან-მოყვარულთა ასოციაციის ხელმძღვანელებსა და გაზეთ „ნიუს ოფ უორლდის“ წარმომადგენლებს, რომლებიც სსრ კავშირ-დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა მატჩის ორგანიზატორები არიან, გაუკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია:

„საბჭოთა მძლეოსნების დელეგაციის ერთ-ერთი წევრის — ოლიმპიური ასპარეზობისა და ევროპის ჩემპიონის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. პონომარიოვას მიმართ ამას წინათ ლონდონში მოეწყო საზიზღარი პროვოკაცია, რომლის მიზანია სახელი გაუტეხოს მსოფლიოში ცნობილ სპორტსმენს.

ამ პროვოკაციის შედეგად ნინო პონომარიოვა მოკლებულია შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა მომავალ მეგობრულ მატჩში.

საბჭოთა მძლეოსნების დელეგაცია სოლიდარობის გრძნობით და ნინო პონომარიოვას მიმართ ჩადენილი საზიზღარი პროვოკაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად უარს ამბობს მიიღოს მონაწილეობა ამ მატჩში და მიემგზავრება სსრ კავშირში“.

ნ. პონომარიოვასათვის სახელის გატეხის ცდა ის იყო, რომ ვინმე კერძო მაძებრის განცხადებით, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ მაღაზიაში მსახურობს, საბჭოთა სპორტსმენს თითქოს არ გადაეხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება 1 გირვანქა სტერლინგი და რამდენიმე შილინგი. ასეთი „მოწმობის“ საფუძველზე ინგლისის ხელისუფლებმა ცადეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ იგი და ორდერიც კი გასცეს დასაპატიმრებლად.


სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში
მონაწილე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მოემზადებისათვის
1. რ. ჩაჩავა — წყალბურთი
2. გ. ჯეჯელავა
3. კიკნაძე — ფეხბურთი
4. ქ. მეიფარიანი — თანამედროვე ხუთჭიდი
5. თ. მესხი — ფარიკაობა
6. ვ. ინწკირველი — წყალში ხტომა
7. ლ. გიორგაძე
8. ქ. მალიშკოვი — მძლეოსნობა
9. ვ. სამარინი — ცურვა
საპატიო წიგნი

102 დაფაზე ბრძოლის შემდეგ

8-დან 25 აგვისტომდე ლენინგრადში ჩატარდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის. „ა" ჯგუფში, მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, საქართველოს, ლატვიის, ესტონეთისა და უზბეკეთის გუნდები. „ბ" ჯგუფში თამაშობდა 7 გუნდი.

ბრძოლა ძირითადად რსფსრ-ს და მოსკოვის გუნდებს შორის გაიმართა. უკანასკნელ ტურში ლიდერები ერთმანეთს შეხვდნენ. წარმატებით ითამაშა რსფსრ-ს გუნდმა, რომელმაც ანგარიშით 6,5:5,5 დაამარცხა გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის ნორჩ მოჭადრაკეთა კოლექტივი. ამით რსფსრ-ს გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა.

მიმდინარე წლის პირველობაში წარუმატებლად ითამაშა საქართველოს გუნდმა. ეს აიხსნება იმით, რომ გუნდის შემადგენლობიდან 7 მოჭადრაკე გამოვიდა სასკოლო ასაკიდან. ამიტომ მათი ადგილები უფრო ახალგაზრდა, ნაკლები გამოცდილების მქონე მოჭადრაკეებმა დაიკავეს.

საქართველოს ნორჩმა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ბელორუსიის (7,5:4,5), უზბეკეთის (8,5:3,5), ყაზახეთის (9:3) და ლატვიის (7,5.4,5) გუნდები; ყაიმით (6:6) დაამთავრეს შეხვედრა ლენინგრადის გუნდთან და წააგეს მატჩები მოსკოვთან (10,5:1,5), უკრაინასთან (8,5:3,5), ესტონეთთან (6:5:5,5) და რსფსრ-სთან (7:5). თუმცა უნდა ითქვას, რომ ესტონეთთან ჩვენს გუნდს შეეძლო მატჩის მოგება, რადგან უკეთეს პოზიციებში ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა უხეში შეცდომებით წააგეს პარტიები. საქართველოს გუნდი V ადგილზე გავიდა.

ცალკეული მოჭადრაკეების შედეგებიდან უნდა აღვნიშნოთ თ. ყორღოლაძის წარმატება. მან ექვსი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო და თავის დაფაზე II ადგილზე გამოვიდა. მეტი იყო მოსალოდნელი საქართველოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მან მოსკოველ ალფეევასთან უხეში შეცდომით წააგო პაიკი და შემდეგ პარტია, ბოლო ტურში გამარჯვების შემთხვევაში მაინც შეეძლო თავის დაფაზე I ადგილის დაკავება მით უმეტეს, რომ იგი ხვდებოდა ძირითად კონკურენტს ლენინგრადელ დმიტრევას. ნ. გაფრინდაშვილმა ეს გადამწყვეტი პარტია კარგად ითამაშა და გადასდო უკეთეს მდგომარეობაში. გადადებული პარტიის დამთავრებისას, რომელიც იმავე დღეს ტურის დამთავრების სამი საათის შემდეგ მოხდა, მან ძლიერი თამაშით მოიგო ფიგურა, მაგრამ შემდგომში ორი უაღრესად ცუდი სვლა გააკეთა და პარტია ყაიმით დამთავრდა. ამით იგი II-III ადგილით დაკმაყოფილდა.

შეჯიბრების მეორე ნახევარში რესპუბლიკის გუნდმა კარგი თამაში გამოამჟღავნა. მაგრამ ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეების თამაშში არის მეტად მნიშვნელოვანი ხარვეზი — უხეში, აშკარა შეცდომების დაშვება. ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად ახალ სასწავლო წელს ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ მომავალში გუნდმა უკეთეს შედეგებს მიაღწიოს.

„ბ" ჯგუფიდან „ა" ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ყირგიზეთისა და აზერბაიჯანის გუნდებმა, ხოლო უზბეკეთისა და ყაზახეთის გუნდები „ბ" ჯგუფში გადავიდნენ.

ვ. გოგლიძე,
გუნდის მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ახალი სასწავლო წელი

◆

ცხრა საათზე ფიზკულტურის ინსტიტუტის დერეფნებში გაისმა ზარის წკრიალი — სწავლა დაიწყო.

◆



◆

პირველი სასწავლო დღე დამთავრდა. ფიზიკური აღზრდის მომავალი სპეციალისტები სახლებისაკენ მიეშურებიან და ერთმანეთს პირველი დღის შთაბეჭდილებებს უზიარებენ.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ უაღრესად სერიოზული ამოცანები დასახა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. შეკვეცილ იქნა სამუშაო დღის ხანგრძლივობა 16-18 წლის ახალგაზრდობისათვის. უქმე დღეების წინ დაწესდა სამუშაოს დამთავრება 2 საათით ადრე, მიღებულ იქნა პენსიების ახალი კანონი.

დადგენილ იქნა გაიხსნას სკოლა-ინტერნატების ქსელი, რაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საგრძნობლად გაუადვილებს შვილების აღზრდას. მიმდინარე სასწავლო წლიდან მოსწავლე ახალგაზრდობა აღარ გადაიხდის სწავლის ქირას, სტუდენტებს სტიპენდიები მიეცემათ ახალი წესით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს მზრუნველობა ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს ავალებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით მოეკიდონ ახალგაზრდობის აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს. ეს დადგენილებები ახალგაზრდებისაგან მოითხოვს მეტ დისციპლინას, მუყაით შრომას ცოდნისა და მეცნიერების დაუფლების საქმეში.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი თავისი მოვალეობის ღრმა შეგნებით იწყებს ახალ სასწავლო წელს. იგი გამსჭვალულია იმ გრძნობით, რომ ყოველმხრივად შეუწყოს ხელი XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ეფექტურად გატარებას ცხოვრებაში, სპეციალისტთა მაღალხარისხოვნად მომზადების საქმეს.

ახალი სასწავლო წელი უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებით საინტერესოა იმით თუ რა შევსება მიიღო მან პირველ კურსზე.

ჩვენი ინსტიტუტის სპეციფიკის მიხედვით, მის კედლებში უაღრესად ძლიერი შევსება მოვიდა. მიმდინარე წელს ჩვენს ინსტიტუტში მოსახვედრად საკმაოდ ძნელი კონკურსი იყო და უნდა ითქვას, რომ მოხვედრილთა შორის არიან საუკეთესონი.

წელს პირველად, ინსტიტუტში ჩარიცხვა წარმოებდა სპეციალიზაციის მიხედვით, რაც გარკვეულ სტიმულს აძლევდა ახალგაზრდობას. ყველაზე მეტი მსურველი იყო მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ჭიდაობისა და ფეხბურთის სპეციალიზაციით. ამჟამად ინსტიტუტში მოხვედრილთა შორის 8 სპორტის ოსტატია, 53 პირველთანრიგოსანი, 29 მეორეთანრიგოსანი. განსაკუთრებით ძლიერი შევსება მივიღეთ ჭიდაობის განხრით. პირველ კურსზე ჩარიცხულთა შორის არიან ძლიერი მოჭიდავეები — სხირტლაძე, მჭედლიშვილი, მუხიაშვილი, გვიმრაძე. შემოსულთა შორის ბევრია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილენი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ასეთი მაღალხარისხოვანი შევსება ინსტიტუტის სპორტულ და პედაგოგიურ კოლექტივს ავალებს მათთან წარმოებულ იქნას კიდევ უფრო ინტენსიური მუშაობა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მეცნიერული მუშაობა კარგად შევუხამოთ სპორტულ საქმიანობას. შემოსულებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი პედაგოგიური საქმიანობისათვის ემზადებიან, რომ მათ შემდგომში უნდა აღზარდონ მაღალი კლასის სპორტსმენები, საამისოდ კი, გარდა პირადი პრაქტიკული გამოცდილებისა, საჭიროა სათანადო თეორიული მომზადებაც.

ინსტიტუტი წელს პირველად იწყებს მუშაობას ხელსაყრელ პირობებში საკუთარ სპორტულ ბაზებზე. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაზების მხრივ ნაკლოვანება მთლიანად აღმოფხვრილი არ არის.

ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა მძლეოსნობაში ჯერ კიდევ ჩამორჩება. ამ დარგში ახალი წარმატებების მისაღწევად დიდი მუშაობა მართებს ინსტიტუტის სპორტულ კოლექტივს, რომ ინსტიტუტმა თავისი წვლილი შეიტანოს მძლეოსნობის განვითარებაში, საჭიროა კეთილმოწყობილ იქნას „ბურევესტნიკის" სტადიონის მძლეოსნური სექტორები. აკადემიურ მეცადინეობათა გადატანა სხვა სტადიონებზე ზედმეტად ტვირთავს სტუდენტთა ისედაც გადატვირთულ დროის ბიუჯეტს. საერთოდ, ინსტიტუტი წელს კიდევ განიცდის სიძნელეებს ღია მოედნების საკითხში. ასეთი სპორტული ბაზები ინსტიტუტს ექნება მომავალ სასწავლო წელს.

სასწავლო წელი დაიწყო. ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტობა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა ახალი ენერგიით, ახალი ძალით შეუდგა მუშაობას.

ა. ფალავანდიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი.

მსოფლიო რეკორდი

ტულის ტრეკზე მოეწყო ველოსიპედისტთა შეჯიბრება. მოსკოველმა გ. მარტინოვმა 100 კილომეტრი მანძილი დაფარა 2 საათში, 28 წუთსა და 31 წამში. ეს შედეგი 3 წუთითა და 5 წამით უკეთესია საკავშირო რეკორდზე, ხოლო 4 წამით აღემატება მსოფლიო რეკორდს.

7.000 კილომეტრი ველოსიპედებით

ამ სამი თვის წინათ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აღსანიშნავად ქ. ულიანოვსკის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა, ძმებმა ბონდარენკოებმა დაიწყეს ტურისტული ლაშქრობა ველოსიპედებით. ახალგაზრდა სპორტსმენები ეწვივნენ უკრაინას, ყირიმს, საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიას და სხვა მხარეებს. გზაში მათ უხდებოდათ როგორც ასფალტირებულ გზატკეცილზე სიარული, ისე სოფლის გზებზე. ლაშქრობისას ძმები, რომლებიც აგრეთვე დამწყები მწერლები არიან და საბავშვო ზღაპრების წიგნი აქვთ გამოცემული, სტუმრად ეწვივნენ გამოჩენილ საბჭოთა მწერალს მიხეილ შოლოხოვს კრასნოდარის ოლქის ვეშენსკის სტანიცაში. მოგზაურებმა ინახულეს ფეოდოსიაში აივაზოვსკისა და პიატიგორსკში ლერმონტოვის სახლ-მუზეუმები, იალტაში ჩეხოვის სახლი, სარატოვში ჩერნიშევსკის მუზეუმი და სხვა. ახალგაზრდა მოგზაურებმა სულ 7.000 კილომეტრი გაიარეს 110 დღეში და 30 აგვისტოს მშობლიურ ქალაქში დაბრუნდნენ.

ტურისტებმა განაცხადეს, რომ ისინი დიდად კმაყოფილნი დარჩნენ მოგზაურობით და გადაწყვეტილი აქვთ მომავალ წელს მოაწყონ ტურისტული ლაშქრობა ვლადივოსტოკში. 10 ათასი კილომეტრის მანძილი, რომელზედაც დაცილებულია ულიანოვსკი ვლადივოსტოკს, ტურისტებს განზრახული აქვთ დაფარონ 100 დღეში.

მესამედ პირველ ადგილზე

გორში ჩატარდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ორგზის ჩემპიონი — გორის „დინამოს" მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, თბილისის „დინამოს" მე-3, მე-4, მე-11 რაისაბჭოების, აგრეთვე სტალინირისა და თელავის ნაკრები გუნდები.

თავიანთ წონით კატეგორიებში სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს 1956 წლის ჩემპიონები გახდნენ ტ. მექვაბიძე, გ. პაპიტაშვილი, გ. ეგნატაშვილი, ა. მიხანაშვილი, გ. ყაზარაშვილი (გორი), ბ. მაზიაშვილი, მარიამული (თბილისი), ფუხაევი (სტალინირი).

შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა გორის „დინამოს" გუნდმა (მწვრთნელი გ. ალექსიძე), რომელმაც ზედიზედ მესამეჯერ მოიპოვა რესპუბლიკური პირველობა და გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე გამოვიდა სტალინირის, ხოლო მესამეზე—თბილისის „დინამოს" მე-11 რაისაბჭოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.

ი. თევდორაშვილი

ცამეტი თანრიგოსანი

ზუგდიდში მოეწყო „ბურევესტნიკის" რაიონულ საბჭოში შემავალი პროფკავშირული ორგანიზაციების სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ მედიცინის, კომუნალური მეურნეობის, კულტურის, სამომხმარებლო კოოპერაციის, განათლებისა და კავშირგაბმულობის პროფკავშირული ორგანიზაციები. შეჯიბრების პროგრამაში იყო სპორტის ოთხი სახეობა — მძლეოსნობა, ფრენბურთი, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა და ველოსპორტი.

ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ტყვიით სროლაში პირველი ადგილი დაიკავა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლებმა, ხოლო ველოსპორტში კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენებმა.

სპარტაკიადაში, რომელშიც 103 კაცი მონაწილეობდა 13-მა აჩვენა მესამე თანრიგის ნორმა.

ა. თირქია.

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ჭადრაკში სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. ა. გოგლიძეს (თბილისი, „დინამო"); კრივში — სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. გ. ნოვოსარდოვს (თბილისი, „შრომითი რეზერვები"). სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა კლასიკურ ჭიდაობაში თ. ვ. კიკნაძეს, ზ. შ. ჭითავას (ორივე თბილისი, „ბურევესტნიკი"); გ. პ. სინაურიძეს (ქუთაისი, „ბურევესტნიკი"); თავისუფალ ჭიდაობაში: გ. ქ. ზარზაქაძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები"); ცურვაში: ა. ლ. ლისაკოვს (თბილისი, საბჭოთა არმია).

ერთი მაღაროს ფიზკულტურელები

ჭიათურაში ერთ თვეს გაგრძელდა „მეტალურგის" საქალაქო პირველობის გათამაშება ფეხბურთსა და კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მაღაროთა სამმართველოსა და სხვა წარმოებათა გუნდები. როგორც ფეხბურთში, ისე კალათბურთში ქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გუნდებმა. აღსანიშნავია, რომ ამ მაღაროს ფიზკულტურელები უკვე რამდენიმე წელია გამარჯვებული გამოდიან ქალაქის პირველობაზე მოწყობილ შეჯიბრებებში.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მეშახტე სპორტსმენთა წარმატებას ხელს უწყობს სამმართველოს დირექციის მზრუნველობა და საკუთარი ინიციატივა. აქ საკუთარი ძალებით მოეწყო ფეხბურთის მოედანი, რომელიც სრული კეთილმოწყობის შემდეგ ყველაზე დიდი იქნება ქალაქში.

შ. კალატოზი

ასე ტარდებოდა წინათ

...დღეები დღეებს მოსდევს, წელიწადი წელიწადს, საუკუნე საუკუნეს. აი უკვე ორი ათას შვიდას ოცდათორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოეწყო პირველი ოლიმპიური თამაშები.

სამხრეთ საბერძნეთში, ზღვის ნაპირიდან 18 კილომეტრის დაშორებით, ოლიმპის მთის წარმტაც კალთებზე შეფენილი იყო პატარა ქალაქი ოლიმპია. ბუნებას უხვად დაებერტყა თავისი მადლიანი კალთა ამ ულამაზეს ადგილას.

თითქმის თორმეტი საუკუნე ზედიზედ, ყოველ მეოთხე (ნაკიან) წელიწადს იკრიბებოდნენ აქ ელადის საუკეთესო შვილები — მომღერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, პოეტები, ატლეტები, სწავლულები და სახელმწიფო მოღვაწენი, რათა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ყველა თავის დარგში. შეჯიბრებოდნენ დაფნის გვირგვინებისათვის.

ოლიმპიური თამაშები უდიდეს ეროვნულ დღესასწაულს წარმოადგენდა ელინთა ცხოვრებაში. მათი მიხედვით წარმოებდა წელთაღრიცხვა ძველ საბერძნეთში და დროის ერთეულს წარმოადგენდა ოლიმპიადა — მონაკვეთი ოთხ წელს შორის. ძველბერძენი სწავლულები უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს განსაზღვრავდნენ ოლიმპიურ სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა სახელებით. საბერძნეთის ძველ ისტორიაში დროის აღრიცხვის ეს წესი შემდგომში დადგენილ იქნა დიოდორ სიცილიელის, დიონის ჰალიკარნასიელის, პოლიბიუსისა და სხვა ანტიკურ ისტორიკოსთა მიერ.

ერთ-ერთი უძველესი თქმულების მიხედვით ოლიმპიურ თამაშს დასაბამი მიეცა კრონოსის მითიურ ხანაში ჰერკულესის — არაჩვეულებრივი ღონით დაჯილდოებული გმირის საპატივცემლოდ. გამარჯვებული დაჯილდოებულ იქნა გარეული ზეთისხილის ფოთლებისაგან დაწნული გვირგვინით.

პირველი ისტორიული ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია ოლიმპიურ თამაშებთან, ესაა მათი განახლება ელადის მეფის იფიტისა და სპარტის კანონმდებლის ლიკურგის მიერ. 776 წელს ჩვენს ერამდე მათი სახელები ამოკვეთილ იქნა ბადროზე, რომელიც ოლიმპიაში ინახება. სწორედ მაშინ დააწესა იფიტმა დღესასწაულის პერიოდში წმიდათაწმიდა ზავი. თამაშების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე მთელს საბერძნეთს მოედებოდნენ ხოლმე ჰეროლდები ე. წ. ზევსის მაცნენი, რომლებიც ქვეყანაში აცხადებდნენ სრულ მშვიდობას და ჭაბუკებს მოუხმობდნენ კეთილშობილური ასპარეზობისაკენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კეთილშობილებას მაინც ახლდა დისკრიმინაციული წესი: ასპარეზობაზე უშვებდნენ მხოლოდ წმინდასისხლიან ელინელებს, ხოლო სხვა დანარჩენებს შეეძლოთ მხოლოდ მაყურებლის როლში ყოფილიყვნენ. ქალებს სტადიონზე შემოსვლის უფლება არა ჰქონდათ. ისინი ჩვეულებრივ სტადიონის მახლობლად იმყოფებოდნენ და უცდიდნენ ცნობებს მამების, ძმების, ქმრებისა და საქმროების გამარჯვებათა თუ დამარცხებათა შესახებ.

თამაშები, როგორც წესი, ტარდებოდა ივლისის დასაწყისში და პატარა ქალაქი ოლიმპია ამ დროს ერთი ათად იზრდებოდა. საბერძნეთი მაშინ დაყოფილი იყო რამდენიმე მრავალ სახელმწიფო-ქალაქად. ყოველი ასეთი სახელმწიფო აგზავნიდა თავის დელეგაციას დღესასწაულზე, რომლებიც ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ არა მარტო სპორტულ სარბიელზე, არამედ ძღვენის სიუხვეში, რითაც სახელს უთქვამდნენ თავის ქალაქს.

თამაშები გრძელდებოდა ხუთ დღეს, მაგრამ ამ დღეების ერთი ნაწილი მიძღვნილი იყო შეჯიბრებისადმი, ხოლო მეორე — რელიგიური ღვთისმსახურებისადმი. დაბოლოს ეწყობოდა საზოგადოებრივი ღრეობა გამარჯვებულთა საპატივცემლოდ.

პირველ დღეს დილას საზეიმო კორტეჟი მიემართებოდა ქალაქ ოლიმპიადან სტადიონისაკენ. წინ მიდიოდნენ ღია ალისფერ ტანსაცმელში მორთული ჰეროლდები, ქურუმები და მსაჯები. მათ მისდევდა შეჯიბრების მონაწილეთა გრძელი რიგი. პროცესიას ბოლოში მიჰყვებოდნენ საპატიო სტუმრები — ქალაქების წარმომადგენლები.

სტადიონზე დიდი საკურთხევლის წინ იწყებოდა ხანგრძლივი ცერემონიალი: ჯერ ზევსს წირავდნენ მსხვერპლს, შემდეგ კენჭისყრით ამორჩეული 10 მსაჯი ფიცს სდებდა, რომ ისინი სამართლიანად და ყოველგვარი ანგარების გარეშე შეასრულებდნენ თავის მოვალეობებს. თავის მხრივ ზევსის ქანდაკების წინ ფიცს დებდნენ მონაწილენიც, რომ პატიოსნად იასპარეზებდნენ და რომ სანამ მათ ფეხი შემოდგეს სტადიონზე, 10 თვე მიუძღვნეს მოსამზადებელ წვრთნას. ასეთივე ფიცს დებდნენ მონაწილეთა მამები, ძმები და მასწავლებლები, რომ ისინი არ იქნებიან დამნაშავენი არც ერთ ბოროტმოქმედებაში არც შეჯიბრების დროს, არც მის შემდეგ.

თამაშების დაწყებამდე 30 დღით ადრე წარმოებდა შესარჩევი შეჯიბრებები ოლიმპიურ გიმნაზიაში, სადაც სპორტსმენები თავის ხელოვნებას აჩვენებდნენ ელანდონიკებს (მსაჯებს). ამ ერთი თვის მანძილზე შეჯიბრების მონაწილეთათვის დაწესებული იყო კვების მკაცრი რეჟიმი — მათ ძირითადად ეძლეოდათ ხილი, ბოსტნეული და ახალი ყველი. ხორცის ჭამა ნებადართული იყო შეჯიბრების დაწყებამდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე.

თამაშების მეორე დღე იწყებოდა ბიჭების შეჯიბრებით რბენაში სტადიონის ბილიკის ნახევარზე, ჭიდაობაში, კრივში, ხტომებსა და კომპლექსურ სახეობაში, რომელშიც შედიოდა ჭიდაობა და კრივი.

მესამე დღეს შეჯიბრებაში ებმებოდნენ უფროსები. პროგრამაში იყო 24 სახეობა.

თეთრი ქვისაგან აგებული ოლიმპიური სტადიონი იტევდა 40 ათას მაყურებელს. სპეციალური ქვიშით მოყრილი სარბენი ბილიკის სიგრძე 192 მეტრს უდრიდა, ტრიბუნებისქვეშ მოთავსებული იყო დამხმარე შენობები. სტადიონს გარს ეკრა წმიდათაწმიდა პარკი, სადაც იმ დროს დადგმული იყო 3.000 ქანდაკება თამაშებში გამარჯვებულთა პატივსაცემად. მთელი ეს ტერიტორია წმიდა ადგილად ითვლებოდა, სადაც ადამიანის სიცოცხლე ხელმიუკარებელი იყო ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი.

შეჯიბრების ძირითადი პროგრამა მოზრდილთათვის იწყებოდა რბენით გრძელ მანძილზე (12 წრე სარბენ ბილიკზე). შემდეგ იმართებოდა რბენა მოკლე მანძილზე — 192 მ. და საშუალო დისტანციაზე — 384 მ. ყოველ გარბენში მონაწილეობდა 4 კაცი. სტარტი აღნიშნული იყო მიწაში ჩაფლული ქვებით, ხოლო სტარტს აძლევდნენ საყვირებით. რიგითი გარბენების შემდეგ ეწყობოდა ფინალური გარბენი. მონაწილეთა მონაცვლეობა ყველა შეჯიბრებაში განისაზღვრებოდა მხოლოდ კენჭისყრით.

რბენას მოსდევდა ჭიდაობა. მოჭიდავეები შეჯიბრების წინ ტანზე ისვამდნენ კარაქს და რომ მოწინააღმდეგეს ჰქონოდა სხვადასხვა ჩავლებისა და ილეთების ჩატარების საშუალება მთელს სხეულს აყრიდნენ სპეციალურად მომზადებულ უწვრილეს ქვიშას. გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც მეტოქეს სამჯერ დასცემდა მიწაზე.

მაგრამ კიდევ უფრო უხეში იყო კრივი. მებრძოლები მთელს ხელებზე, მხრებიდან თითებამდე იხვევდნენ ხარის ტყავის ღვედს, რომელიც დამაგრებული იყო ლითონის მრგვალი ნაჭრებით. მუშტში ყოველ მათგანს ჩვეულებრივ ეჭირა მრგვალი ქვა ან რაიმე სხვა მძიმე საგანი. მუშტის დარტყმა შეიძლებოდა ყველგან და დამარცხებულად ითვლებოდა ის, ვინც პირველი აწევდა ზევით ხელს.

მაგრამ ყველაზე სახიფათო შეჯიბრებად ითვლებოდა პანკრატიონი (ჭიდაობისა და კრივის ნაერთი). გარდა იმისა, რომ გამარჯვებულს სამჯერ უნდა დაეგდო ძირს მოწინააღმდეგე, მას უნდა აეძულებინა იგი მიწაზევე აეწია ხელი დანებების ნიშნად. ძნელი წარმოსადგენია რა ძალის, გამძლეობისა და ფიზიკური მონაცემების მქონე უნდა ყოფილიყო პანკრატიონის ფინალურ ბრძოლაში გამარჯვებული.

მეოთხე დღეს, დილას, წარმოებდა შეჯიბრება საბრძოლო ეტლებით, რაც თამაშების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სანახაობად ითვლებოდა. ეტლებში შებმული იყო 4 ცხენი, სტარტი ეძლეოდა ყველას ერთად. გამარჯვებულს ყველაზე ადრე უნდა გაევლო დაახლოებით 9.200 მეტრი. გვირგვინი და სპეციალური პრიზი ეძლეოდა არა გამარჯვებულს, არამედ ცხენების მფლობელს.

ოლიმპიადის მეხუთე დღე განკუთვნილი იყო სადღესასწაულო რიტუალებისათვის. განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში წარმოებდა დაფნის გვირგვინების გადაცემა გამარჯვებულთათვის. შტოებს გვირგვინის დასაწნავად ოქროს მახვილით ჭრიდნენ იქვე მახლობლად, იმ დაფნის ხეებიდან, რომლებიც თქმულების თანახმად თვით ჰერკულესმა დარგო.

ოლიმპიური ჩემპიონები დიდებით ბრუნდებოდნენ თავიანთ ქალაქებში, სადაც მათ ბრწყინვალე შეხვედრებს უწყობდნენ და მათს სასახელოდ ქმნიდნენ სიმღერებს. საპატიო გვირგვინებს ქურუმები სათუთად ინახავდნენ ტაძრებში, ხოლო გამარჯვებულთა საპატივცემლოდ პარკში იდგმებოდა მარმარილოს ქანდაკებები.

წმიდა ოლიმპიური ცეცხლი განუწყვეტლივ ასხივოსნებდა ოლიმპიადის ჩემპიონთა ქანდაკებებს.

ბ. შეყრილაძე

• • •

სურათებზე: ანტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონა ჩირაღდანს აწვდის ოლიმპიური ესტაფეტის პირველი ეტაპის მორბენალს. ოლიმპიური ჩირაღდანი.

◆



ცნობილი ამერიკელი ძალოსანი პაულ ანდერსონი ენერგიულად ემზადება ოლიმპიური თამაშებისათვის. წვრთნის დროს იგი იყენებს ზემძიმე წონებს. ეს სურათი, რომელიც ამოღებულია კანადური ჟურნალ „მასლ პაუერიდან" გადმოგვცემს ანდერსონის წვრთნის მომენტს. მას მხრებზე გაუდევს 860-კილოგრამიანი ბორბლები ღერძით და ემზადება ბუქნის გასაკეთებლად.

512,5
590

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03084